საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/314 "6" დეკემბერი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის ვ. როინიშვილისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში დღეის მდგომარეობით უფლებამოსილებას ახორციელებს სამი მოსამართლე, რომელთაგან ორ მოსამართლეს - მაია ვაჩაძესა და ნუგზარ სხირტლაძეს - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის №1/161 და №1/162 გადაწყვეტილებებით 2019 წლის 21 ივლისიდან გაუგრძელდათ მოსამართლის უფლებამოსილების ვადა მათი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე. მოსამართლე ვასილ როინიშვილს უფლებამოსილების ვადა ეწურება 2019 წლის 18 დეკემბერს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 3 დეკემბრის №01/19/123 წერილიდან ირკვევა, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში განსახილველ საქმეთა რაოდენობაა 1247, საიდანაც ვასილ როინიშვილის წარმოებაშია 527 საქმე. მისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ პალატის შემადგენლობაში ორი მოსამართლის დარჩენა მნიშვნელოვნად შეაფერხებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრს, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ვასილ როინიშვილს 2019 წლის 19 დეკემბრიდან გაუგრძელდეს მოსამართლის უფლებამოსილების ვადა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე, მაგრამ არაუმეტეს შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევამდე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი